



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კიდევანის ქედი

კიდევანის ქედი, აღმ. კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთი განშტოება. საქართველოს ფარგლებში შემოდის მისი მხოლოდ აღმ. ფერდობი. ქედი მდ-ების – ასისა და არშხის წყალგამყოფია. უმაღლესი მწვერვალია ახიელისმაღალი (4274 მ). სხვა მწვერვალებია: კიდევანისმაღალი, გველისმთა, სახარისმაღალი, ჭიმლისმაღალი, ვაჟა-ფშაველას მწვერვალი, თათელისმაღალი და სხვ. მნიშვნელოვანი უღელტეხილებია: არხოტისთავისღელე, სახარისღელე, საჯიხვისღელე და სალაშქროსღელე. აგებულია იურული თიხაფიქლებით. ორივე კალთაზე ჩამონოლილია მყინვარები. ახასიათებს მთა-მდელოსა და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი. ამგებელი ქანების ლითოლოგიურმა სირბილემ ხელი შეუწყო ფერდობების ძლიერ დანანევრებას.

**ლ. მარუაშვილი**

---